



GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ისლამი თანამედროვე აზსაზეთში: რატომ არ მიესაღმება
მოსკოვი რეგიონში ისლამის გააქტიურებას?

ალექსანდრა კვანახია

105

ექსპერტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

ალექსანდრე კვასაძე

**ისლამი თანამედროვე აზხაზეთში: რატომ არ მიესაღმება
მოსკოვი რეგიონში ისლამის გააქტიურებას?**

105

2018



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2018 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-8-0372-7

2017 წლის ოქტომბერში აფხაზმა მუსლიმმა აქტივისტმა ის-მაილ ას-სუფიმ (რუსლან ენიკი) გამოაქვეყნა ვიდეო, სადაც იგი ანტიისლამური განწყობების გამო აკრიტიკებს აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებასა და აფხაზურ საზოგადოებას. ვიდეო განხილვის საგნად იქცა აფხაზურ საზოგადოებასა და რეგიონალურ მედიაში. ას-სუფის მიხედვით, რუსეთი (მისი სიტყვებით – „მთვრალი დათვი“) დე ფაქტო ხელისუფლებასთან ერთად ხელს უშლის სუფიური საგანმანათლებლო ცენტრის მშენებლობას, „რომელიც უნდა ყოფილიყო ბარიერი ფსევდოისლამური იდეოლოგიებისათვის“.¹ მიუხედავად იმისა, რომ ისლამს მინიმალური გავლენა აქვს აფხაზეთის შიდა პოლიტიკაზე, კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონის ისლამურ ძალებთან ისტორიული კავშირები ხშირად ხელს უწყობს ისლამის საკითხის წინ წამოწევას ოკუპირებულ აფხაზეთში.

ისტორიული მიმოხილვა

სანდო დემოგრაფიული მონაცემების არარსებობის გამო უცნობია აფხაზეთში მუსლიმთა ზუსტი რაოდენობა. 2003 წელს „კავკაზსკი უზელის“, „მემორიალისა“ და ფონდ „ღია საზოგადოების“ მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის მიხედვით, რესპონდენტთა 16%-მა თავი მუსლიმად მიიჩნია. თუმცა გამოკითხული იყო მხოლოდ 448 ადამიანი, რაც, ბუნებრივია, ვერ ასახავდა რეალურ სტატისტიკას.² აფხაზ მუსლიმთა უმრავლესობა გავრისა და გუდაუთის რაიონებში ცხოვრობს.³ მიუხედავად ამისა, წინარექრისტიანული ეთნორელიგიური ტრადიციების ფართო გავრცელების გამო ისლამი აფხაზეთში მეტწილად ზედაპირულია და აფხაზ მუსლიმთა უმრავლესობა არ ასრულებს ისლამურ რიტუალებს.⁴

აფხაზეთში ისლამი სათავეს ოსმალეთის ბატონობიდან იღებს. ისლამი სოხუმ-კალეს შემოგარენში გავრცელდა, რომელიც იმდროინდელი შავი ზღვის ოსმალური ფლოტის მნიშვნელოვან ბაზას წარმოადგენდა.⁵ მე-19 საუკუნეში რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობისას ცარისტული ხელისუფლება აფხაზეთში ისლამს საფრთხედ და ოსმალეთის დასაყრდენად მიიჩნევდა. აფხაზთა ისლამიზაციამ უფრო ფართო მასშტაბი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში რუსულ-ოსმალური პაექრობისას, მიიღო. რუსეთის სამხედროებმა გამოიყენეს აფხაზთა

ისლამიზაცია, როგორც მიზეზი, რათა აფხაზთა უმრავლესობა საკუთარი სამშობლოდან განედევნათ. ამ მასობრივ გადასახლებას „მუჰაჯირობა“ ეწოდა, რომელიც „რელიგიური დევნილის“ აღმნიშვნელი არაბული სიტყვიდან მომდინარეობს. აფხაზთა დიდი ნაწილი ოსმალეთის იმპერიაში დასახლდა, რითაც ჩამოყალიბდა აფხაზური დიასპორა, რომელიც დღესაც ცხოვრობს თურქეთში. ათწლეულების შემდეგ აფხაზური დიასპორა არა მხოლოდ დედამშობლოში დაბრუნებას ცდილობდა, არამედ ცდილობდა აფხაზეთში მცხოვრები თანამემამულეებისთვის ისლამი ექადაგა.

აფხაზეთის 1992-1993 წწ.-ის ომის დროს თურქეთის აფხაზურმა დიასპორამ უპრეცედენტო მობილიზაციის უნარი გამოავლინა, რაც გამოიხატებოდა აფხაზ სეპარატისტთა მატერიალური და ცოცხალი ძალით მომარაგებაში. თურქეთში მცხოვრები აფხაზები და სხვა კავკასიელები იყვნენ აფხაზური ფორმირებების აქტიური წევრები.⁶ აფხაზ მემამბოხეთა იმდროინდელი დე ფაქტო ლიდერი ვლადისლავ არძინბა დახმარებისთვის აფხაზური დიასპორის მადლიერი იყო და იმავდროულად, ისლამს აფხაზეთის ისტორიის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდა.⁷ მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის ომს არ ჰქონია ისლამური ჯიჰადის ატრიბუტები, ეს იყო აფხაზებისა და ისლამური სამყაროს პირველი მასობრივი კონტაქტი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ხელისუფლებას აფხაზეთში მუსლიმი მებრძოლების შემოსვლისათვის ხელი არ შეუშლია.

აფხაზეთი და კონფლიქტი ჩრდილოეთ კავკასიაში

გარდა თურქეთის კავკასიური დიასპორისა, აფხაზეთის კონფლიქტში ჩრდილოკავკასიელი მებრძოლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ. მაგალითად, ჩეჩნეთის ომის ერთ-ერთმა ჯიჰადისტმა ლიდერმა შამილ ბასაევა საკუთარი მებრძოლის კარიერა აფხაზეთის ომში დაიწყო და მეტიც, ადგილობრივ მკვიდრ ინდირა ჯენიაზე იქორწინა.⁸ რამდენიმე წლის შემდეგ, 1996 წელს, რუსეთ-ჩეჩნეთის ომის დროს, შეიარაღებულმა მცირე ჯგუფმა, რომელსაც თურქეთის აფხაზი მებრძოლი მოჰამედ თოქჩანი (გაბლია) ედგა სათავეში, ტრაპიზონის მახლობლად რუსი მგზავრებით სავსე ბორანი „ავრასია“ გაიტაცა და მგზავრები მძევლად აიყვანა. თურქი სამართალდამცავების მიერ შემდგომში დაპატიმრებულ გამტაცებელთა შორის იყო შამილ ბასაევის ცოლის ნათესავი ჰამზატ (როკი) გიცბაც. თურქეთის ციხიდან გაქცევის შემდეგ გიცბა დასახლდა აფხაზეთში

და გახდა ადგილობრივი სალაფიტური თემის ლიდერი. საბოლოოდ, გიცბა მოკლეს 2007 წელს ქალაქ გუდაუთაში.⁹

ჰამზატ გიცბას მკვლელობა არ იყო ერთადერთი შემთხვევა. აფხაზეთში ადგილობრივ მუსლიმ ლიდერთა წინააღმდეგ ძალადობის მთელი სერია იყო. 2010 წელს მოკლეს აფხაზეთის მუსლიმთა სასულიერო სამმართველოს წევრი ემიქ ჩაქმაჩ-ოლლი. იმავე წელს მოკლეს მუსლიმი აქტივისტი რასულ ფილია, ხოლო იქვე მძიმედ დაჭრეს მისი თანამოაზრეები რუსტან და რაულ გიცბა. მოგვიანებით სცადეს აფხაზეთის სასულიერო სამმართველოს ლიდერ სალიპ კვარაცხელიას მოკვლა.¹⁰ მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი ეს თავდასხმა არ გამოუძიებიათ, ნათელია, რომ რუსეთისათვის არ არის სასურველი აფხაზეთში ისლამური ფაქტორის ზრდა. ჩრდილო კავკასიაში ისლამისტ მემბოხეთა არსებობა და სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშები აფხაზეთში რისკფაქტორად იყო მიჩნეული.

რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა არაერთხელ აღნიშნეს, რომ აფხაზეთში არსებობდა „იმარატ კავკაზის“ ქსელები. ასე, მაგალითად, სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე რუსეთის ეროვნულმა ანტიტერორისტულმა კომიტეტმა არაერთხელ განაცხადა, რომ „იმარატ კავკაზის“ მემბოხეებმა აფხაზეთში ჩამოაყალიბეს აფხაზეთის ჯამაათი, რომელიც მიზნად ისახავდა სოჭის ოლიმპიური ინფრასტრუქტურისა და უცხოელი ტურისტების წინააღმდეგ ტერორისტული აქტების მოწყობას. 2012 წლის მაისში რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურმა ადგილობრივ დე ფაქტო პოლიციასთან ერთად დააპატიმრა აფხაზეთის ჯამაათის სავარაუდო ლიდერი რუსტან გიცბა და დიდი რაოდენობით საბრძოლო მასალა ამოიღო.¹¹ წარმომადგენდა თუ არა აფხაზეთის ჯამაათი რეალურ საფრთხეს, დღემდე უცნობია. ფაქტია, რომ რუსეთის ხელისუფლებამ აფხაზეთის ჯამაათის ფაქტორი აფხაზეთში თავისი პოზიციების გასაძლიერებლად გამოიყენა, განსაკუთრებით, გაგრისა და გუდაუთის რაიონებში.

რბილი ძალა

ჯიჰადის მებრძოლების გარდა არსებობენ სხვა რეგიონული მოთამაშეები, რომლებიც აფხაზ მუსლიმებზე რბილი ძალის საშუალებით მოქმედებენ. ამის ყველაზე ცნობილი შემთხვევაა ქალაქ გაგრის მახლობლად არსებული ფეთულაჰ გიულენის რელიგიურ-პოლიტიკურ ქსელთან ასოცირებული თურქული სასწავლებელი

„ბაშარან კოლეჯი“, რომელიც 1995 წელს გაიხსნა,¹² თუმცა 2010 წელს „ბაშარან კოლეჯს“ დე ფაქტო ხელისუფლებამ ლიცენზია ჩამოართვა.¹³ აღსანიშნავია, რომ თურქეთის რელიგიურ საქმეთა სამმართველო, იგივე „დიანეთი“, ერიდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ ქმედებას და აფხაზეთში ოფიციალურ პროექტებს არ ახორციელებს. მიუხედავად ამისა, თურქეთის აფხაზეთი დიასპორა აქტიურად არის ჩართული აფხაზეთში სხვადასხვა ისლამურ პროექტში. მაგალითად, თურქეთიდან რეპატრიირებული ადილ გაბლია, რომელსაც ჰქონდა ფართო კონტაქტები აფხაზეთის რელიგიურ წრეებში, 1995-2011 წლებში იყო აფხაზ მუსლიმთა სულიერი ლიდერი.¹⁴ თურქეთის გარდა, აფხაზ მუსლიმთა მიმართ ინტერესს გამოხატავდნენ ჩრდილოკავკასიელი ლიდერები. მაგალითად, ჩეჩნეთის რესპუბლიკის მეთაურმა რამზან კადიროვმა 2008 წელს ღიად დაუჭირა მხარი სოხუმში მეჩეთის მშენებლობას.¹⁵ გარდა ამისა, რუსეთის მუსლიმთა კავშირს 2006 წლიდან მოყოლებული ჰყავს წარმომადგენელი აფხაზეთში. ამავე ორგანიზაციამ 2009 წელს დააფინანსა ხუთი აფხაზი, რომ მექაში პილიგრიმებად წასულიყვნენ.¹⁶

სირიიდან რეპატრიირებული აფხაზები

სირიაში მიმდინარე კონფლიქტმა სირიელ აფხაზებს ისტორიულ სამშობლოში მიგრაციისკენ უბიძგა. დე ფაქტო ხელისუფლების მიერ მოყვანილი სტატისტიკის მიხედვით, სირიიდან დაბრუნებულთა რიცხვი 552¹⁷ ადამიანს შეადგენს მაშინ, როდესაც სირიის აფხაზთა საერთო რაოდენობა რამდენიმე ათასს აღწევს.¹⁸ დე ფაქტო ხელისუფლებამ დაბრუნებულთა ადაპტაციისა და ინტეგრაციისთვის პროექტებიც კი შეიმუშავა.¹⁹ ამჟამად სირიელ აფხაზთა მხრიდან ისლამის თვალსაზრისით რაიმე სახის აქტივობა არ შეინიშნება. ამისდა მიუხედავად, სირიელ აფხაზებს, რომლებიც არაბული ქვეყნის განსხვავებულ სოცალურ-კულტურულ გარემოში ცხოვრობდნენ, მომავალში აფხაზეთის რელიგიურ ცხოვრებაში უფრო აქტიური როლის თამაში შეუძლიათ. სირიელ აფხაზებს აგრეთვე შეუძლიათ ხიდის ფუნქცია შეასრულონ დე ფაქტო ხელისუფლებასა და ასადის რეჟიმს შორის, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სირიის არაბულმა რესპუბლიკამ აღიარა აფხაზეთის დამოუკიდებლობა.

ისლამი აფხაზეთში და რუსეთის შემოღობვა

მეზობელ ჩრდილო კავკასიასთან შედარებით, აფხაზეთში ვერ აღმოცენდა ჯიჰადის შეიარაღებული იატაკქვეშეთი. იმავდროულად, სირიის მემბოხე ჯგუფებში აფხაზეთის არც ერთი მკვიდრი არ შეუნიშნავთ. მიუხედავად ამისა, რუსეთი რამდენიმე მიზეზის გამო სიფრთხილით ეკიდება აფხაზეთში ისლამის გავრცელებას.

პირველ რიგში, ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკებისაგან განსხვავებით, აფხაზეთს აქვს ზღვაზე გასასვლელი, რაც მას ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებთან თუ სხვადასხვა ისლამურ ორგანიზაციებთან დაკავშირების უფრო იოლ შესაძლებლობას აძლევს. მაგალითად, აფხაზეთის 1995 წლის ემბარგომდე სოხუმსა და ტრაპიზონს შორის პირდაპირი საზღვაო მიმოსვლა არსებობდა, რაც ხელს უწყობდა თურქეთ-აფხაზეთის ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას.²⁰ მეტიც, ღაზას სექტორის დე ფაქტო მმართველი ძალა – ისლამისტურ-პოლიტიკური მოძრაობა „ჰამასი“ არის ერთ-ერთი, ვინც აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა.²¹

მეორე, საკმაოდ მნიშვნელოვანია თურქეთის აფხაზური დიასპორის ფაქტორი. ეთნოლინგვისტური მონაცემების მიხედვით, თურქეთში აფხაზთა რაოდენობა 200 ათასს აღწევს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება აფხაზეთში მცხოვრები აფხაზების რაოდენობას.²² შესაბამისად, მასობრივ რეპატრიაციას შეუძლია გამოიწვიოს რეგიონში მკვეთრი დემოგრაფიული ცვლილება და ისლამი ერთ-ერთ მონინავე შიდა სოციალურ-პოლიტიკურ ფაქტორად აქციოს. სტატისტიკის მიხედვით, თურქული კაპიტალი ფართოდ არის წარმოდგენილი აფხაზეთში და რუსეთის შემდეგ თურქეთი აფხაზეთის რიგით მეორე სავაჭრო პარტნიორია.²³ მეტიც, არ უნდა დაგვავინწყდეს, რომ თურქეთის აფხაზები ნატოს წევრი ქვეყნის მოქალაქეები არიან, რაც მოსკოვისთვის უსაფრთხოების დამატებით გამოწვევას წარმოადგენს. თვითმფრინავის ჩამოგდებასთან დაკავშირებული რუსეთ-თურქეთის კრიზისის დროს დე ფაქტო ხელისუფლებამ თურქულ პროდუქციაზე ემბარგო დაანესა.²⁴

მესამე, რუსეთი არც სირიიდან რეპატრიაციის პროცესს მიესალმება. სირიასა და ერაყში არსებული რელიგიური კონფლიქტის გათვალისწინებით, მოსკოვი სიფრთხილით ეკიდება აფხაზებსა და მათ სირიულ დიასპორას შორის კონტაქტებს, რომელთაც შეუძლიათ ჯიჰადის იდეოლოგიის გავრცელება არა მხოლოდ აფხაზეთის, არამედ კრასნოდარის მხარის მუსლიმ მოსახლეობაშიც.

დაბოლოს, მოსკოვისთვის არსებობს აფხაზეთის მუსლიმი აქტივისტებისა და ჩრდილოკავკასიური სალაფიტური მოძრაობების ერთმანეთთან შეკავშირების რისკი. რუსეთის ხელისუფლება ცდილობს აფხაზეთა და ჩრდილო კავკასიის მუსლიმ ხალხთა შორის კონტაქტების მინიმუმამდე დაყვანას. ამის საპირისპიროდ, მიმდინარეობს აფხაზეთის ინტეგრირება კრასნოდარის მხარესთან, სადაც უმრავლესობას ეთნიკური რუსები წარმოადგენენ. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის რუსეთთან დამაკავშირებელი ერთადერთი საგზაო მაგისტრალი კრასნოდარის მხარეზე გადის, ხოლო კოდორის ხეობის გზის მშენებლობა, რომელსაც ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკა უნდა გადაეკვეთა, კვლავაც სათუთა.

აღსანიშნავია, რომ აფხაზი ნაციონალისტები, მათ შორის, ამჟამინდელი მმართველი ელიტა იზიარებენ ანტიისლამურ განწყობებს და ისლამის გავრცელებას აფხაზეთის ეთნორელიგიური ბალანსის დამრღვევ საფრთხედ მიიჩნევენ. მაგალითად, ბიუროკრატიული ბარიერებიდან გამომდინარე, აფხაზეთში კვლავაც პრობლემურია მეჩეთის მშენებლობის საკითხი. მეტიც, ისლამური სატელევიზიო პროგრამების ხანგრძლივობა აფხაზეთის დე ფაქტო სახელმწიფო ტელევიზიაში 15-დან 5 წუთამდე შემცირდა.²⁵

დასკვნა

დღეისათვის ისლამი შეუმჩნეველია აფხაზეთის სოციალურ-პოლიტიკურ რეალობაში. ვერც თურქეთის აფხაზეთმა და ვერც სხვა უცხო ისლამურმა ძალებმა ვერ მოახერხეს აფხაზეთის მუსლიმებზე გავლენის მოხდენა. მიუხედავად ამისა, მოსკოვი მზარდ ისლამურ ტენდენციებს მიიჩნევს პოტენციურ საფრთხედ, რომელსაც შეუძლია ოკუპირებულ რეგიონში რუსეთის ჰეგემონიას საფრთხე შეუქმნას.

ბიბლიოგრაფია

1. *Islam v Abkhazii: Politika Protiv Mechetey* www.ekhokavkaza.com/a/28815823.html
2. *Yedinnaya Vera Abkhazskikh Khristian i Musulman* www.portal-credo.ru/site/print.php?act=fresh&id=188
3. *Musulmanskaya Obshina Abkhazii v Ozhidanii Novogo Muftiya]* www.islamnews.ru/news-Musulmanskaja-obshhina-Abkhazii-v-ozhidanii-novogo-muftija/
4. G. Sanikidze and E. W. Walker. “*Islam and Islamic Practices in Georgia.*” UC Berkeley: Berkeley Program in Soviet and Post-Soviet Studies. Retrieved from www.escholarship.org/uc/item/7149d486, p. 21
5. Ibid., p. 20
6. *Dobrovoltsy Otechestvennoy Voini Naroda Abkhazii* www.apsnypress.info/apsny/aiaaira/dobrovoltsy-otechestvennoy-voyny-naroda-abkhazii-avgust-1992-sentyabr-1993-gg-/
7. K. Matsuzato. “*Transnational Minorities Challenging the Interstate System: Mingrelians, Armenians and Muslims in and Around Abkhazia,*” *Nationalities Papers*, 39:5, 2011. p. 824
8. *Zamuzhem za Dyavolom* www.mk.ru/editions/daily/article/2006/07/25/179763-zamuzhem-za-dyavolom.html
9. *Rasstrelyan Glavniy Vahabit Abkhazii* www.gazeta.ru/politics/2007/08/17_kz_2051668.shtml
10. *Traditsionniy Islam i Perspektivi Islamskogo Radikalizma v Abkhazii* www.kavkazoved.info/news/2016/05/20/tradicionnyj-islam-i-perspektivy-islamskogo-radikalizma-v-abkhazii.html
11. *Abkhazskiy Gambit Doku Umarova* www.mk.ru/politics/2012/05/11/702470-abhazskiy-gambit-doku-umarova.html
12. “*Basharan Kollej*” *Turetskaya Obrazovatel'naya Ekspansiya v Abkhaziyu* www.abkhaznews.ru/2016/basharan-kolledzh-turetskaya-obrazovatel'naya-ekspansiya-v-abhaziyu/
13. *Sumatokha Vokrug Sukhumskogo Elitnogo Kolleja* www.ekhokavkaza.com/a/2119954.html
14. *Repatriatsiya Abkhazov i Islamskiy Vopros v Abkhazii* www.inosmi.ru/sngbaltia/20140711/221603977.html
15. *Kadirov Khochet Postroit Mechet v Abkhazii* www.regnum.ru/news/1057596.html
16. *Islamskiy Faktor v Sovremennoy Abkhazii* www.caucasustimes.com/ru/islamskij-faktor-v-sovremennoj-abh-2/
17. *Siriyskiye Repatrianty – Integratsiya i Adaptatsiya* www.international-alert.org/ru/blog/syrian-repatriates-adaptation-and-integration-ru

18. *Abkhazia Welcoming Syrian Refugees* www.unpo.org/article/15849
19. *Kak Stat Repatriantom i ne Poteryatsya v Abkhazii* www.sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20180502/1023814316/kak-stat-repatriantom-ne-poteryatsya-v-abkhazii.html
20. *Abhazya Ambargosuna Karşı Imza Kampanyası* www.haberler.com/abhazya-ambargosuna-karsi-imza-kampanyasi-2-haberi/
21. *Priznaniye Abkhazii i UO Otkryto Podderzhalo Lish Dvizheniye Hamas* www.korrespondent.net/world/566192-priznanie-rossiej-abkhazii-i-yuo-otkryto-podderzhalo-lish-dvizhenie-hamas
22. V. Chirikba. "Rasseleniye Abkhazov v Turtsii" in *Djigetskiy Sbornik: Voprosy Etno-Kulturnoy Istorii Zapadnoy Abkhazii*, 2012, p. 22
23. *Abkhazia Zapretila Turetskiye Tovary* www.vesti.ru/doc.html?id=2709914
24. Ibid.
25. *Islamizatsiya Abkhazii Dutaya Sensatsiya* www.osinform.org/11960-islamizacija-abkhazii-dutaja-sensacija.html